კომპანიის შესახებ

ინოვაციების კომპანია Qarva ქმნის სატელევიზიო პროგრამულ უზრუნველყოფას და უკვე 15 წელზე მეტია ოპერირებს როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.
Qarva-ს წარმატებული და ცნობილი სატელევიზიო პროგრამული უზრუნველყოფის პროექტი საქართველოში წარმოდგენილია SilkTV-ის სახით.
2017 წელს ლონდონში Qarva-ს ტექნოლოგია, მულტიპაიპი, წარდგენილი და დაჯილდოვებული იყო როგორც საუკეთესო სტრიმინგის ინოვაციური ტექნოლოგია. 2018 წლიდან Qarva გახდა DVB (DVB – Digital Video Broadcasting - https://dvb.org) კონსორციუმის წევრი.

ვეძებთ გუნდის ახალ წევრს - ადმინისტრაციული მენეჯერის პოზიციაზე

Qarva-ში შესაძლებლობა გექნებათ ისწავლოთ, განვითარდეთ და დაწინაურდეთ თქვენთვის სასურველი მიმართულებით.

ადმინისტრაციული მენეჯერის ფუნქციები:

- ადმინისტრაციული შესყიდვების გეგმის შემუშავება, შესყიდვების ბიუჯეტის დადგენისა და მენეჯმენტთან შეთანხმების უზრუნველყოფა
- დაქვემდებარებულების (ოფის მენეჯერი, დიასახლისები) მართვა და მათი მოვალეობების მონიტორინგი
- ღონისძიებების ორგანიზაციული მხარის კონტროლი
- შესყიდვების ორგანიზება, კონტროლი, განხორციელება
- მომსახურების მომწოდებლებთან (მაგ. დენის გაყვანილობის, გათბობის, კონდიცირების შეკეთება, რემონტი, კარ-ფანჯრები და სხვა) კომუნიკაცია, მოლაპარაკებების წარმოება, კონტრაქტინგი
- კომუნიკაცია ბუღალტერთან და იურისტებთან ხელშეკრულებების და სხვა ფინანსურ საკითხებზე, მათ შორის გადარიცხვების კონტროლი
- კომპანიის შიდა შეხვედრების ორგანიზება და შეხვედრის ოქმების მომზადება
- მივლინებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება - სავიზო საკითხების ორგანიზება, საორგანიზაციო საკითხები (სასტუმრო, ბილეთები და სხვა), შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა
- სხვა ფუნქციების შესრულება დაკისრებული ამოცანების გადასაჭრელად

ამ პოზიციაზე აუცილებლად დაგჭირდება:

- ინგლისური და რუსული ენების ცოდნა, გამართული კომუნიკაციის და წერის უნარი
- Microsoft Office პროგრამების ცოდნა
- ოფის-მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება

როგორი უნარ-ჩვევები უნდა გქონდეს რომ გახდე Qarv-ელი?

- პასუხისმგებლობის გრძნობა
- ორგანიზებულობა
- დროის მართვის უნარი
- კომუნიკაბელურობა
- ანალიტიკური აზროვნება
- გამართული ზეპირი და წერითი კომუნიკაცია
- გუნდურად და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

როგორი გამოცდილება იქნება შენთვის ქარვაში მუშაობა?

- კომფორტული, მეგობრული გარემო

- პროფესიული განვითარების შესაძლებლობა
- საინტერესო პროექტები
- მხარდამჭერი გუნდი
- მდიდარი ორგანიზაციული კულტურა
- ყოველდღიური ლანჩი
- ჯანმრთელობის დაზღვევა
- Fitpass

ანაზღაურება:

ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით, ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

სამუშაო გრაფიკი:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 საათიდან 19:00 საათამდე 1 საათიანი შესვენებით.

სამუშაო ადგილი: თბილისი, ი.გამყრელიძის №3

გადმოგვიგზავნე რეზიუმე HR@qarva.com და სათაურში სასურველი პოზიციის მითითება არ დაგავიწყდეს ;)

წარმატებები!